

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნოლთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს,
ბატონ გიორგი ჭავჭავაძეს

ქალბატონო ეკატერინე,
ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსნებათ, საქართველოს პლასტიკური, რეკონსტრუქციული და
ესთეტიკური ქირურგიის საზოგადოებაში (შემდგომში „საზოგადოება“) გაერთიანებული არიან სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც ფლობენ
სტაციონარული დაწესებულების ნებართვებს. შესაბამისად, ყოველი მათგანი
ვალდებულია, დააკმაყოფილოს ყველა პირობა, რომელიც განსაზღვრულია
საქართველოს მთავრობის No 385 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით
“სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული სამედიცინო
დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” (შემდგომში
„დებულება“).

აღნიშნული დაწესებულებების ძირითადი საქმიანობა არის პლასტიკურ-
რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ოპერაციების, ასევე სამედიცინო
ესთეტიკური პროცედურების ჩატარება.

ჩვენი დარგი მკვეთრად განსხვავდება სხვა ტიპის სამედიცინო მომსახურებისგან;
ამასთან, ხშირად, სამედიცინო მომსახურების გაწევა ხდება მცირე ტიპის
კლინიკებში, რომლებიც კონკრეტულად ამ სფეროზეა მორგებული.

ჩვენ არაერთხელ მოგვიმართავს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროსთვის (შემდგომში "სამინისტრო") და სსიპ
სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის
(შემდგომში „სააგენტო“) თხოვნით, მომხდარიყო საერთო სალიცენზიო
მოთხოვნების მორგება პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის
განმახორციელებელი კლინიკებისთვის, ვინაიდან „დებულებით“ განსაზღვრული
მოთხოვნები არ აკეთებს რაიმე ტიპის გამონაკლისს ამ ძალიან ვიწრო სფეროს და
მისთვის დამახასიათებელი შედარებით დაბალი გამტარიანობის
სტაციონარებისთვის, რაც, თავის მხრივ, „დებულების“ რიგ მოთხოვნებს ხდის
აბსურდულს და ხშირად, შესასრულებლად შეუძლებელს.

ჩვენს მიმოწერაზე, ვიღებდით პასუხს, რომ სააგენტო „მუდმივ რეჟიმში მუშაობს
სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო პირობების

გადახედვის მიმართულებით", შესაბამისად, "საზოგადოების" მოთხოვნა "განხილული იქნება სამუშაო რეჟიმში" ("სააგენტოს" წერილი No. 01/12226-ს, დათარიღებული 2018 წლის 26 დეკემბერით).

“საზოგადოებამ” გასული წლის ბოლოს კიდევ ერთხელ მიმართა “სააგენტოს” ანალოგიური მოთხოვნით, წერილობითი დასაბუთებით, თუ რომელი მოთხოვნები და რატომ ქმნიან ჩვენი ტიპის სტაციონარული დაწესებულებებისთვის დამაბრკოლებელ და შემაფერხებელ გარემოებებს, მაგრამ კონკრეტული პასუხი ჩვენს წერილებზე არ მიგვიღია.

საქართველოს მთავრობის No. 385 დადგენილებაში, მიმდინარე წლის 15 მაისს განხორციელდა ცვლილებები, რომელთაც უფრო დაამძიმეს ესთეტიკური მედიცინის მიმართულებით მომუშავე მცირე ტიპის სტაციონარული დაწესებულებების მდგომარეობა.

კერძოდ, “დადგენილების” დანართი 2¹-ს IX ნაწილით (რეანიმაციული მომსახურების განხორციელებისას არსებული მოთხოვნები), სტაციონარულ დაწესებულებას განესაზღვრა არანაკლებ 3 რეანიმაციული საწოლის არსებობის ვალდებულება ისე, რომ რეანიმაციული საწოლების რაოდენობა არ უნდა იყოს საწოლთა საერთო რაოდენობის 1/3-ზე მეტი. ჩვენი ინტერპრეტაციით, აღნიშნული გულისხმობს, რომ კლინიკას უნდა გააჩნდეს სულ ცოტა, 3 რეანიმაციული საწოლი, რა შემთხვევაშიც, საწოლთა საერთო რაოდენობა არ უნდა იყოს 9-ზე ნაკლები.

ეს ნიშნავს იმას, რომ წარმოგვეშვა ვალდებულება, გავზარდოთ საწოლების არსებული რაოდენობა, რომელიც აქამდეც არაადეკვატურად მიგვაჩნდა. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ტიპის კლინიკებში, უმეტესად, დღის განმავლობაში ტარდება 1 ან 2 ოპერაცია და შესაბამისად, სტაციონარში იმყოფება 1 ან 2 პაციენტი. მათი დიდი უმეტესობა ღამე არ რჩება კლინიკაში. ამდენად, 9 საწოლის, მათ შორის 3 რეანიმაციულის არსებობა, არ წამოადგენს არავითარ საჭიროებას.

იქმნება კომიკური სიტუაცია, - მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, უმეტესად, ღამე პაციენტი არ გვყავს, არ ვემსახურებით სასწრაფო და გადაუდებელ შემთხვევებს, ყველა ჩვენი პაციენტი, რომელიც უკვე გაეწერა კლინიკიდან, გართულების შემთხვევაში ხვდება შესაბამისი პროფილის კლინიკაში და არ შემოდის ჩვენთან, გვაქვს ვალდებულება, უზრუნველყოთ სტაციონარის მუშაობა უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში, რეანიმაციული, ლაბორატორიული და რენტგენოლოგიური სერვისით.

დებულების მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ხშირად გვიწევს დოკუმენტების ფორმალურად წარმოება. იძულებული ვართ, სტაციონარში, პაციენტების გარეშე, დავტოვოთ მორიგეობაზე 5-6 თანამშრომელი.

დებულების მიხედვით, რომ არაფერი ვთქვათ ინფექციური და ნახევრად ბოქსირებული პალატების აუცილებლობის ქონაზე, ვალდებული ვართ გვქონდეს სტაციონარული რენტგენაპარატურა, უმაღლესი სტანდარტებით აღჭურვილი ლაბორატორია ისეთი აპარატურით და შესაძლებლობებით, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე სახის საჭიროებას ჩვენი პროფილის პაციენტების სრულყოფილად და მაღალკვალიფიციურად მომსახურების მიზნით, ვინაიდან ჩვენი პროფილის პაციენტები უმეტესად პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანები არიან.

გარდა აპარატურისა, მოთხოვნებიდან გამომდინარე, იძულებული ვხდებით, ვიქონიოთ იმაზე მეტი ფართი, ვიდრე რეალურად გვესაჭიროება. ნათელია, რომ ეს დამატებით ხარჯს უქმნის ჩვენი ტიპის კლინიკებს, გვაწვება მძიმე ტვირთად და გვიშლის ხელს სამეწარმეო საქმიანობაში.

მიმდინარე წლის 25 მარტს "მინისტრის" მიერ გამოცემული იქნება No. 01-123/ო ბრძნება "ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების" შესახებ, რომლის მე-19 დანართით - "რეკომენდაციები დერმატო-კოსმეტოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს", ჩვენი ტიპის სამედიცინო დაწესებულებებს მოგვეცა რეკომენდაცია, მაქსიმალურად შეგვეზღუდა გეგმიური სამედიცინო სერვისების მიწოდება 2020 წლის 1 მაისამდე. შესაბამისად, საყურადღებოა, რომ გარდა სტომატოლოგებისა და დერმატო-კოსმეტოლოგიური მომსახურების მიმწოდებლებისა (მათ შორის პლასტიკური ქირურგიის), მსგავსი რეკომენდაცია არ გაცემულა სხვა ტიპის არც ერთ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელზე. შესაბამისად, სახელმწიფოსთვისაც გასაგებია, რომ ჩვენი ტიპის კლინიკების მუშაობა სასიცოცხლო მნიშვნელობის არ არის; არც რეანიმაცია, არც 24 საათიანი რეგულირება და გარკვეული სერვისების მიწოდება უწყვეტ რეჟიმში და სხვა სერვისები, რაც ნამდვილად აუცილებელია გაურკვევლი ტიპის სტაციონარებისთვის, ჩვენი ტიპის სამედიცინო დაწესებულებებისთვის აუცილებლობას საერთოდ არ წარმოადგენს.

ჩვენს პრობლემად ისევ და ისევ რჩება სალიცენზიო პირობების უნიფიცირებულად გავრცელება ესთეტიკური მედიცინის სფეროში მოღვაწე სტაციონარებისთვის. მოთხოვნების დიფერენციაციის არარსებობის პირობებში, ჩვენ დღეს ვდგავართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების გაზრდილი რისკის წინაშე. "სააგენტოს", ზედამხედველობის განხორციელების პროცესში, არ აქვს უფლებამოსილება, რომელიმე აშკარად აბსურდული პირობის დარღვევა არ გაითვალისწინოს; შემოწმების პროცესში "სააგენტოს" თანამშრომელი მიყვება პირობების ჩამონათვალს და შემოწმების აქტში ვალდებულია მიუთითოს, სრულდება ესა თუ ის პირობა თუ არა. მიუხედავად შეუსრულებლობის მიზეზისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშკარაა, რომ აღნიშნული პირობა უბრალოდ კანონმდებლობის ხარვეზია და ლოგიკურად, არ უნდა

ვრცელდებოდა ჩვენი ტიპის კლინიკაზე (მაგალითად მინიმუმ სამი ანესთეზიოლოგის და ლაბორანტის არსებობა და მათი მორიგეობა მაშინ, როდესაც კლინიკაში ღამით პაციენტი არ არის), "სააგენტოს" მოკლებულია დისკრეციას, არ მიუთითოს აღნიშნული შემოწმების აქტში. ეს ავტომატურად იწვევს იმას, რომ სამართალდარღვევის აქტი უნდა შედგეს. ამას კი მოსდევს სასამართლო პროცესები. ეს ყველაფერი ნათელს ყოფს, თუ რამდენ დროს და რესურსს ართმევს საკანონმდებლო ხარვეზის აღმოუფხვრელობა როგორც სამედიცინო დაწესებულებას, ისე "სააგენტოს" და ისედაც ძალიან გადატვირთულ სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ, გთხოვთ თანადგომას და მხარდაჭერას აღნიშნული საკითხების დაჩქრებულად გადაწყვეტაში. ისევ და ისევ, გამოვთქვამთ მზადყოფნას, ჩავერთოთ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში საკითხის ოპტიმალურად და ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

იმედი გვაქვს, გაითვალისწინებთ ჩვენს არგუმენტაციას და ერთად გადადგმული ნაბიჯები მიგვიყვანს საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრამდე.

პატივისცემით,
საქართველოს რეკონსტრუქციულ-პლასტიკურ და
ესთეტიკური ქირურგიის საზოგადოების (GeoPRAS)
პრეზიდენტი

პროფ. ი.კუზანოვი